

**პლინსბახ-ტუარსული ბაზალტური ვულკანური კომპლექსის, როგორც  
მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის, მოპოვების პერსპექტივები მდ.ალაზნის  
ზემოწელში, ახალი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით**

*კარლო აქიმიძე, გიორგი დარჩიაშვილი*

ელ-ფოსტა:karlo.aqimidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ. 13

ალაზნანგაღმა კახეთის ტერიტორიის ძირითად ნაწილს აგებს ქვედა-შუა იურული ასაკის ფსამიტო-ალევრო-პელიტური ფიქლების სერია, რომლის შემადგენლობაშიც ფიქსირდება ვულკანური აქტივობის 3 დონე: 1. ჰეტანგ-სინემურული -რიოდაციტური, სტორის წყებაში; 2. გვიანპლინსბახ-ადრეტუარსული -ბაზალტური -წიკლაურის წყებაში და 3. გვიან აალენ-ადრებაიოსური- ანდეზი-ბაზალტური- ალმატის წყებაში.

აღნიშნული ვულკანური აქტივობებიდან პლინსბახ-ტუარსული მაგმატიზმი ხასიათდება უფრო მეტი ფართობული გავრცელებითა და შემადგენელი კომპლექსების მეტი ნაირგვარობით. ამასთან მათი მინერალოგიურ-პეტროგრაფიული შედგენილობა, ფერთა ნაირგვარობა და ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები მაგმურ კომპლექსს წარმოაჩენს, როგორც ძვირფას სანახელავო და საამშენებლო- მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულს.

ამ ვულკანური კომპლექსის გამოსავლების გამოვლენისა და მათი საამშენებლო მიზნებისთვის მოპოვების პერსპექტიულობის განსაზღვრის მიზნით, გასულწელს-ჩვენს მიერ, საველე გეოლოგიური სამუშაოები შესრულდა მდ.ალაზნის ზემო წელში.

დადგინდა, რომ გვიანპლინსბახ-ადრეტუარსული ვულკანიზმი კარგად არის გამოვლენილი შესწავლილ ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ალაზნის მარჯვენა შენალადების - ქვაჩადალასა და ლამაზურის შუამდინარეთში. ვულკანური კომპლექსი, მათი ძირითადი გამოსავლების სახით შიშვლდება ქვაჩადალა-ლამაზურის წყალგამყოფ ქედზე 2100-2200 მეტრ სიმაღლეზე. გამოსავლის სიმძლავრე 150 მეტრს აღწევს, აფიქსირებს კარგად გამოხატულ რღვევის ზონას; აქვს საერთოკავკასიური მიმართება 15-20° დაქანების აზიმუტითა და 35-40° დაქანების კუთხით. ვულკანიტები, მიმართებაზე, წყვეტილი გამოსავლების სახით დაიკვირვება ქვაჩადალის მარცხენა და ლამაზურის ორივე ფერდზე და მიმართებაზე იდევნება 3 კმ-ზე. კომპლექსი წარმოდგენილია ბაზალტური შედგენილობის ტუფიტების, ბალიშალავებისა და ლავაბრექჩიების განფენებით, რომელთა სიმძლავრეები 5-70 მეტრამდე მერყეობს. ვულკანური სხეულები განმხოლოებულია 3-40 მეტრამდე სიმძლავრის პელიტ-ალევტოპელიტური ფიქლებით. აღნიშნება აგრეთვე 1.5-3.0 მ სიმძლავრის გამკვეთი დიაბაზის დაიკები. როგორც ვულკანური კომპლექსი, ისე დანალექი შუაშრეები ჰიდროთერმულადაა შეცვლილი.

შესწავლილ უბანზე ფართადაა წარმოდგენილი, აგრეთვე, ვულკანიტების ნაშალი ლოდნარი დანაგროვებები, სადაც ცალკეული ლოდების მოცულობები 0.3-0.5 მ<sup>3</sup> -დან 12-15 მ<sup>3</sup> იცვლება და ხელსაყრელია ნედლეულის ზედაპირული მოპოვებისათვის.

ამგვარად, მდ. ალაზნის ზემოწელში გამოვლენილი პლინსბახ-ტუარსული ვულკანური კომპლექსი, როგორც მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეული, პერსპექტიულია მოპოვებისათვის და უდაოდ იმსახურებს პრაქტიკულ ინტერესს. კომპლექსის პეტროლოგიური და ფიზიკო-მექანიკური კვლევის შედეგები მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი.